გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 208

2024 წლის 13 დეკემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე და ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და წელიწადში ერთხელ მაინც შეადგინოს და გამოაქვეყნოს კომისიის მუშაობის ანგარიში საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში №1 დანართის (თან ერთვის ერთ ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ. მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

№1 დანართი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში

მიმდინარე ეტაპზე კომისია შედგება 13 წევრისაგან: ასმათ ტალახაძე, დავით ადუაშვილი, მერაბ მელანაშვილი, მამუკა ბაზანდარაშვილი, გიორგი შიოშვილი, ბექა ლობჟანიძე, იოსებ მუმლაძე, მიხეილ ვახტანგაშვილი, მამუკა ფანიაშვილი, ნაზი დიდებელი, შალვა სრესელი, ქეთევან გოგიაშვილი. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აქტიურად აგრძელებს მუშაობას და ასრულებს მისთვის საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, რომლის ფარგლებშიც, სხვა საკითხებთან ერთად საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში, დამტკიცებულ იქნა 4 კვარტალური გეგმა და მოხდა მათში გათვალისწინებული საკითხების შესწავლა. კომისიის მიერ 2024 წლის მიმდინარე პერიოდამდე სულ ჩატარდა 12 სხდომა განხილულ იქნა 17 საკითხი, ამასთან კომისიამ მონაწილეობა მიიღო გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების ერთობლივ სხდომაში, რომელზეც განხილულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. კომისია პერიოდულად, საკრებულოს კვარტალური გეგმებისა და კომისიის სამუშაო გეგმების შესაბამისად ისმენს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურებისა და განყოფილებების ანგარიშებს, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ზოგიერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ანგარიშებს. განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით ისმენს შესაბამისი საჯარო მოსამსახურეებისა და თანამდებობის პირების განმარტებებსა და მოსაზრებებს. კომისია საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით აქტიურად განაგრძობს მასზედ დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.